ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს
მუნიციპალიტეტის გამგებლის ირაკლი კუჭავას

განმარტებითი ბარათი

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ტიპური ფორმის დამტკიცების შესახებ“

,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ - საქართველოს კანონის თანახმად, სამართალსუბიექტები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში რეგისტრაციაში გაატარონ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშები.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების საფუძველი გახდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს ამოქმედდებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგეობაში განხორციელებული რეორგანიზაცია. კოდექსი ადგენს მთელ რიგ ახალ რეგულირებებს და მასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტები.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი გოგი ბოლქვაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ირაკლი კუჭავა

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ბ.ბ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს.

ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტია საკრებულოს დადგენილება.

აღნიშნული პროექტის მიღება იწვევს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 ივნისის №42 – „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასაცემი მშენებლობის ნებართვის მკაცრი აღრიცხვის ფორმის, მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“-დადგენილების ძალდაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი ძალას კარგავს თუ, მიღებულია (გამოცემულია) ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსის მ/შ: *ბექა შენგელია*